

მორფოსინტაქსური შეთანხმების პრობლემების ანალიზი
ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისას

**Analysis of morphosyntactic agreement problems in teaching Georgian as
a second language**

ნათია ანდლულაძე

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ლინგვისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი რუსუდან
გერსამია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ანდლულაძე, 2024 წ. “

აბსტრაქტი

ქართულში მორფოსინტაქსური შეთანხმების დროს დაშვებული შეცდომები მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა შორისაც კი საკმაოდ ხშირია. ცხადია, ის გარკვეულ გამოწვევად რჩება არაქართულენოვან ენის შემსწავლელთათვის, რასაც აპირობებს ქართულის სახელური და ზმნური სისტემის სირთულე, პარადიგმებში ფლექსიის თავისებურებები.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გამოავლინოს და გააანალიზოს ის ძირითადი ენობრივი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება მორფოსინტაქსური შეთანხმების საკითხებს ქართულის, როგორც მეორე ენის, დაუფლების პროცესში; აგრეთვე შემუშავდეს რეკომენდაციები გამოკვეთილი პრობლემების დაძლევის მიზნით.

ნაშრომში ემპირიულ მონაცემთა ბაზად გამოვიყენეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამაზე ენის შემსწავლელების მიერ სწავლების პროცესში E-learning-ის პლატფორმაზე 2020-2021 და 2021-2022 სასწავლო წლებში ატვირთული წერთი ნამუშევრები; კვლევამ მოიცვა ქართული ენის ფლობის ყველა დონე: A1-A2, B1-B2 და B2. სულ აღწერეთ 415 შეცდომიანი წინადადება; დაშვებული შეცდომების კლასიფიკაცია გაკეთდა მორფოსინტაქსური შეთანხმების ტიპების მიხედვით; თითოეული ტიპის ანალიზი მოიცავს შეთანხმების სტრუქტურაში შემავალი ცალკეული კომპონენტების მორფოლოგიურ და სინტაქსურ ანალიზს. ეს უკანასკნელი კი ეყრდნობა მორფოსინტაქსური შეთანხმებისათვის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ წესებს და კანონებს. ამდენად, წარმოდგენილი კვლევა თვისებრივია, თუმცა საბოლოო დასკვნებისთვის ასევე გამოყენებულია როადენობრივი კვლევის მეთოდი.

ჩვენი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ენის შემსწავლელთათვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას ბრუნვაში შეთანხმების საკითხი, რომელიც ენის სწავლების ყველა დონეზე, თანაბარ პრობლემად რჩება. რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ენის შემსწავლელები სახელსა და სახელს შორის ყველა დონეზე ცალ-ცალკე პროცენტულად უფრო მეტ შეცდომას ბრუნვაში შეთანხმებისას უშვებენ, ვიდრე რიცხვში შეთანხმებისას. რაც შეეხება სახელსა და ზმნას შორის რიცხვში შეთანხმების საკითხს, ამ ტიპის შეცდომა დონეების მიხედვით რაოდენობრივად იკლებს.

საკვლევი მასალის გაანალიზებისას და სასწავლო სახელმძღვანელოების განხილვის საფუძველზე, ენის შემსწავლელი კარგად ვერ იგებს მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებასთან დაკავშირებულ გრამატიკულ საკითხს, რაც სახელმძღვანელოებში არსებული ხარვეზებიდან უნდა გამომდინარეობდეს: მსაზღვრელ-საზღვრულის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები არ ჩანს თანმიმდევრული და პროგრესზე დამყარებული სწავლების ნაწილი, ან /და სახელმძღვანელოებში მოცემული ტიპობრივი დავალებები არ არის საკმარისი აღნიშნული ლინგვისტური ფენომენის ტრანსფერისა და განზოგადებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მორფოსინტაქსური შეთანხმება, მსაზღვრელ-საზღვრული, ბრუნვაში შეთანხმება, რიცხვში შეთანხმება, პირში შეთანხმება.

Abstract

Errors made during morphosyntactic agreement in the Georgian Language are quite common even among native speakers. It remains a certain challenge for non-Georgian language learners, which is caused by the complexity of the noun and verb system of Georgian, and the peculiarities of inflection in paradigms.

The aim of the presented master's thesis is to identify and analyze the main linguistic problems related to the issues of morphosyntactic agreement in the process of mastering Georgian as a second language; Recommendations should also be developed to overcome the identified problems.

In the paper, we used the written works uploaded on the E-learning platform in the academic years 2020-2021 and 2021-2022 by the language learners of Georgian as a second language and integration program of the Ilia State University as an empirical database; The study covered all levels of Georgian language proficiency: A1-A2, B1-B2, and B2. We described a total of 415 erroneous sentences; Errors were classified according to the types of morphosyntactic agreement; The analysis of each type includes the morphological and syntactic ones of the individual components included in the agreement structure. The latter relies on the rules and laws in Georgian scientific literature for morphosyntactic agreement. Thus, the presented research is qualitative, although the quantitative research method is also used for the conclusions.

As a result of our research, it was established that a special difficulty for language learners is the issue of agreement, in the case of Determinative and modified nouns, which remains an equal problem at all levels of language teaching. Based on a quantitative study, it was found that language learners make more errors in case agreement than in number agreement at all levels separately between nouns. As for the number agreement between the noun and the verb, this type of error decreases quantitatively by level.

Analyzing the research material and reviewing the textbooks, the language learner does not understand well the grammatical issue related to the determiner and modified agreement, which must be due to the shortcomings in the textbooks: Issues related to determinative and modified teaching do not seem to be a part of consistent and progress-based teaching, and/or the typical tasks given in the textbooks are not sufficient for the transfer and generalization of the mentioned linguistic phenomenon.

Keywords: morphosyntactic agreement, determinative and modified names, cases, agreement, number agreement, person agreement.

მადლობა

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის დიდ მადლობას ვუხდით ჩემი ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ რუსუდან გერსამიას, რომელიც აქტიურად იყო ჩართული კვლევის ყველა ეტაპზე და მამლევდა საუკეთესო რჩევებს.